მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოკამის მიმდებარედ, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ვულკანური წიდის მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადებაზე

13 მარტი, 2020

მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39ბ, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

2020 წლის 2 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე [გამოქვეყნდა განცხადება] ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოკამის მიმდებარედ, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ვულკანური წიდის მოპოვების პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სკრინინგის განცხადებაზე თანდართული გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, ობიექტის ფართობი 25842O $м^2$ (25,842ჰა)-ია; შესაბამისად, საქმიანობა შედის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში (26. წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია) და კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გაუგებარია რა მიზანს ემსახურებოდა წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ განცხადების წარმოდგენა და მითუმეტეს, სამინისტროს მიერ განცხადების განხილვისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.